



რეკომენდაციები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ



რეკომენდაციები მოამზადა ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა“, პროექტის „ინფორმაციის თავისუფლება მონაწილეობითი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის“ ფარგლებში.

რეკომენდაციები მომზადდა, ევროპის ფონდის დაფინანსებით, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიში არ გამოხატავს ევროპის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

2017 წელი

I. შესავალი

ა(ა)იპ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, ჩაატარა კვლევა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. კვლევის ფარგლებში, ერთი მხრივ, შესწავლილი იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული ადგილობრივი სამართლებრივი ბაზა, ხოლო მეორე მხრივ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული პრაქტიკა. სამართლებრივი ბაზის შესწავლა მოხდა მისი საქართველოს კანონმდებლობის მიზნებთან და მოთხოვნებთან თავსებადობის კუთხით. რაც შეეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკას, ამ კუთხით შესწავლილი იქნა ინფორმაციის გამოთხოვისა და მუნიციპალიტეტების მხრიდან ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პრაქტიკა.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი ტენდენციებისა და მიგნებების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც მიმართულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის გაუმჯობესების და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობისკენ, რაც საერთო ჯამში ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობას.

რეკომენდაციები შემუშავდა, როგორც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის. რეკომენდაციები მოიცავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალს და აუცილებელი სამართლებრივი ცვლილებებს.

II. რეკომენდაციების ძირითადი მიმართულებები

- 1. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის სისტემატიზაცია** - პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სისტემატიზაციის და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ ფუნქციების უკეთ შესრულების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ერთიანი ნუსხის შექმნა.
- 2. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გაფართოვება** - ბათუმის საკრებულოს საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, მაქსიმალურად გაიზარდოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა და მას დაემატოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა დამატებითი ინფორმაცია.
- 3. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის დამატებითი ნუსხის განსაზღვრის მექანიზმის დადგენა** - საკრებულოს ნორმატიული აქტით დადგენილი პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის გარდა, მნიშვნელოვანია არსებობდეს, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი სხვა ინფორმაციის პერიოდულად განსაზღვრის ქმედითი მექანიზმი.

4. **საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დაცვის უზრუნველყოფა** - მნიშვნელოვანია ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის ამოქმედება. ხოლო მის ამოქმედებამდე, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილება - ელექტრონული ფორმით გაგზავნილი მოთხოვნის/განცხადების მიღების დღესვე რეგისტრაციაში გატარება და განმცხადებლისთვის რეგისტრაციის დადასტურება.
5. **საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მდგომარეობის კონტროლი მექანიზმის შემოღება** - ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია შემოღებული იქნეს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტების შესრულების პერიოდული ანგარიშგებისა და კონტროლის მექანიზმი (სტრუქტურულ ერთეულებში პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, პასუხისმგებელი პირების მიერ პერიოდული ანგარიშგების შედგენა და სხვა).
6. **პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლების სტანდარტის შესრულების უზრუნველყოფა** - დაინტერესებული პირის მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის აქტუალურობის შეფასების, აგრეთვე იმის დასადგენად იცავს თუ არა საკრებულოს აპარატი ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვადებს, აუცილებელია მოხდეს ინფორმაციის განახლების სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა, ინფორმაციის განახლების ვადების დაზუსტებისა და პერიოდული განახლების ანგარიშგების სისტემის შემოღების გზით.
7. **პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამუშავების სისტემის დახვეწა** - პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამუშავების პროცესის გაუმჯობესებისა და ინფორმაციის საზოგადოებისათვის აღქმადი ფორმით მიწოდების ხელშეწყობისათვის, რეკომენდებულია, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამუშავებისთვის (მათი სახეობის მიხედვით), შემუშავდეს ტიპური ფორმები.
8. **ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების მექანიზმის სისტემატიზაცია** - კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების, აგრეთვე დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ალტერნატიული საშუალებების არსებობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების ფორმის სისტემატიზაციის უზრუნველყოფა, შესაბამისი საადრიცხვო სისტემის შემოღების გზით.
9. **ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა** - ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულობის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია საკრებულოს მიერ წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშის, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ანგარიშის ტიპური ფორმის დადგენისა და შუალედური ანგარიშგების სისტემის დანერგვის გზით.

III. დეტალური რეკომენდაციები

1. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის სისტემატიზაცია

ბათუმის საკრებულოში პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია/დოკუმენტები გათვალისწინებულია საკრებულოს რამდენიმე სამართლებრივი აქტით, კერძოდ: 1) თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილება „ქ. ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“; 2) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; 3) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ერთიანი სისტემატიზირებული ნუსხის არ არსებობა და მისი სხვადასხვა სამართლებრივ აქტში გაბნევა, ხელს არ უწყობს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტების ეფექტიანად განხორციელებას. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სისტემატიზაციის და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ ფუნქციების უკეთ შესრულების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ერთიანი ნუსხის შექმნა.

ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საკრებულოს სხვადასხვა თემატურ სამართლებრივი აქტებში შესაბამისი ჩანაწერების არსებობის გარდა, აუცილებელია თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებით დამტკიცებულ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ნუსხას დაემატოს, საკრებულოს რეგლამენტით და საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით გათვალისწინებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (საკრებულოს სხდომის ვიდეო/აუდიო ჩანაწერები; საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტები; საკრებულოს წევრის ყოველკვარტალური ანგარიში საკრებულოსადმი; ცნობა საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის შესახებ და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმი).

2. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გაფართოვება

ადგილობრივი სამართლებრივი ბაზა, არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში არსებული მთელი რიგი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად აუცილებლად გამოქვეყნების ვალდებულებას. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, მაქსიმალურად გამჭვირვალე გახადონ თავიანთი საქმიანობა. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად გაიზარდოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა და მას დაემატოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

- ⇒ ინფორმაცია საკრებულოს სხდომების შესახებ - საკრებულოს სხდომის ოქმები (წერილობითი ოქმები); ინფორმაცია საკრებულოს ღია კარის სხდომის შესახებ (წინასწარი ცნობა საკრებულოს ღია კარის სხდომის შესახებ; საკრებულოს ღია კარის სხდომის ოქმი).
- ⇒ ინფორმაცია საკრებულოს კომისიების სხდომების შესახებ - წინასწარი ცნობა საკრებულოს კომისიის სხდომის გამართვის შესახებ (თარიღი, დრო და დღის წესრიგი); საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმი.
- ⇒ ინფორმაცია საკრებულოს ბიუროს სხდომების შესახებ - წინასწარი ცნობა საკრებულოს ბიუროს სხდომის გამართვის შესახებ (თარიღი, დრო და დღის წესრიგი); საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმი.
- ⇒ ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ - საკრებულოს სამტატო ნუსხა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა (შემდეგი მიმართულებით: სტრუქტურული ერთეულები, სამტატო დასახელება, თანამდებობრივი სარგო, გენდერული და ასაკობრივი ჭრილი); სტატისტიკური მონაცემები საკადრო უზრუნველყოფის შესახებ (სამსახურიდან გათავისუფლება, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება); ინფორმაცია საჯარო მოსამსახურეთა სწავლების შესახებ (წლების მიხედვით, სტრუქტურული ერთეულების მიხედვით: სწავლების გეგმები, გავლილი სწავლებები და სხვა).
- ⇒ საკრებულოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშები - საკრებულოს თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ (მათ შორის სტატისტიკური მონაცემები: ჩატარებული სხდომების რაოდენობა; ინიცირებულის და მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა, მათ შორის საკრებულოს წევრების მიხედვით და სხვა); საკრებულოს ყოველწლიური ანგარიში საკრებულოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ; კომისიების ყოველწლიური ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ; ცნობა საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლისადმი ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის შესახებ (საჯარო შეხვედრების თარიღი და ადგილი);
- ⇒ ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ - მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის პროექტი; შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტი;
- ⇒ ინფორმაცია ამომრჩეველთა ინიციატივების შესახებ - ინფორმაცია პეტიციის წარდგენის შესახებ (პეტიციის საკითხი, პეტიციის საინიციატივო ჯგუფი, პეტიციის ყველა დოკუმენტი და მისი განხილვის მდგომარეობა);
- ⇒ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტის შესახებ - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის დასკვნები; საკრებულოს გადაწყვეტილებით მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა;
- ⇒ საჯარო ინფორმაციის გვერდი - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადების ფორმა, ინფორმაციის გამოთხოვის წესების აღწერა/განმარტება, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას მისი გასაჩივრების წესები.

ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებით დამტკიცებულ, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ნუსხაში შევიდეს ცვლილებები და მას დაემატოს დამატებით გამოსაქვეყნებელი ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

3. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის დამატებითი ნუსხის განსაზღვრის მექანიზმის დადგენა

ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებით დამტკიცებული წესი ითვალისწინებს საკრებულოს უფლებამოსილებას პროაქტიულად დამატებით გამოაქვეყნოს სხვა ინფორმაცია, თუმცა არ არის განსაზღვრული, თუ როგორ და ვის მიერ ხდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრა. არსებობს ინფორმაცია საკრებულოში მიმდინარე აქტივობებისა და პროცესების შესახებ, რომელიც სიახლეების სახით შეიძლება განთავსდეს საკრებულოს ვებგვერდზე ან/და საკრებულოს სოციალურ ქსელებში. ამასთან არსებობს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში არსებული ინფორმაციის კატეგორიები, რომელიც მუდმივად ან/რადაც პერიოდულობით შეიძლება განთავსდეს საკრებულოს ვებგვერდზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, ამ უკანასკნელი სახის ინფორმაციის განსაზღვრისა და განთავსების მექანიზმის შემუშავება.

ამ მიზნის მისაღწევად, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს ან/და ამ მიმართულების საქმიანობის განმახორციელებელ საკრებულოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულს, შეიძლება დაევალოს პროაქტიულად დამატებით გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ, პერიოდული - სულ მცირე წელიწადში ერთხელ, წინადადებების წარდგენა საკრებულოს თავმჯდომარისთვის (როგორც საკრებულოში ადმინისტრაციული ფუნქციის მატარებელი პირი). წინადადებებს საფუძვლად უნდა დაედოს პრინციპი - საზოგადოების ინტერესის სფეროში არსებული ინფორმაცია. შესაბამისად, პროაქტიულად დამატებით გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია შეიძლება გამომდინარეობდეს, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მომართვიანობიდან, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სხვა სუბიექტების წინადადებებიდან პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ და სხვა. გადაწყვეტილებას პროაქტიულად დამატებით გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ, ბრძანების სახით მიიღებს საკრებულოს თავმჯდომარე.

ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესში შევიდეს შესაბამისი ცვლილება. ცვლილების მიხედვით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს ან/და საკრებულოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს დაეკისრება, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დამატებითი ინფორმაციის შესახებ ყოველწლიური წინადადებების შემუშავება და საკრებულოს თავმჯდომარისთვის წარდგენა.

4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დაცვის უზრუნველყოფა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, საკრებულომ როგორც საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესაძლებლობა. ამ მიზნით, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის შესახებ ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილების მიხედვით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, შესაბამის ელ-ფოსტაზე მოთხოვნის გაგზავნის გზით. გარდა ამისა,

საკრებულო ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეგისტრაცია და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის არსებობა.

პრაქტიკა ცხადყოფს, საკრებულოში მინიმალურად ხდება საკრებულოს მიერ მიღებული, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის შესრულება. საკრებულოში არ არსებობს ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემა. გარდა ამისა, ელექტრონული მოთხოვნის გაგზავნისთვის არსებობს ელ-ფოსტა რომელიც სხვა დანიშნულებითაც გამოიყენება, რაც კიდევ უფრო ართულებს ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დაცვას.

კანონმდებლობისა და საკრებულოს ნორმატიული აქტით დამტკიცებული სტანდარტის შესრულების მიზნით აუცილებელია, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და ელექტრონული მოთხოვნის მოდულის შექმნა, კერძოდ:

- ⇒ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის გაგზავნისთვის უნდა შეიქმნას ცაკლე ელ-ფოსტა (foi@batumicc.ge), რომელის მართვაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ერთ პირს - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს.
- ⇒ საკრებულოს ვებგვერდზე შეიქმნას შესაბამისი მოდული „საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის“ მოდული. მოდული შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირს, ამ მოდულის საშუალებით, შესაბამისი ველების შევსებისა და ელექტრონული განცხადების გაგზავნის გზით, გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია. ამასთან, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფისას, მოდულის საშუალებით, შესაძლებელი იქნება ელექტრონული მოთხოვნის ავტომატური დადასტურების სისტემის შემოღება.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის შექმნამდე, მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილება, რაც ნიშნავს ელექტრონული ფორმით გაგზავნილი მოთხოვნის/განცხადების მიღების დღესვე რეგისტრაციაში გატარება. ამ მიზნით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირმა, ყოველი სამუშაო დღის განმავლობაში, უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ სპეციალურ ელ-ფოსტაზე შემოსული მოთხოვნის/განცხადების დადგენილი წესით (განცხადებების აპარატში რეგისტრაციის არსებული ზოგადი სისტემის მიხედვით) დაუყონებლივ რეგისტრაციაში გატარება და რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის გამომგზავნისთვის ელ-ფოსტის მეშვეობით გაგზავნა.

5. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მდგომარეობის კონტროლის მექანიზმის შემოღება

ბათუმის საკრებულოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, გათვალისწინებულია მისი პერიოდულად განახლების ვალდებულება და დადგენილია მისი განახლების პერიოდულობა. კვლევისას გამოიკვეთა, რომ საკრებულოს ვებგვერდებზე არ არის განთავსებული საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნაწილი ან/და ინფორმაცია

არასრულად არის გამოქვეყნებული. გარდა ამისა, საკრებულოს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განახლების პერიოდულობა, თუმცა როგორც შესწავლიდან ირკვევა, საკრებულოს ვებგვერდზე მეტწილად განთავსებულია ძველი (განუახლებელი) ინფორმაცია.

საკრებულოს ნორმატიული აქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია შემოღებული იქნეს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტების შესრულების ანგარიშგებისა და კონტროლის მექანიზმი, კერძოდ:

- ⇒ საკრებულოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა - პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია მუშავდება/იქმნება საკრებულოს აპარატის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ. მათ მიერ, პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისთვის ინფორმაციის მიწოდების ზოგადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია საკრებულოს აპარატის ყველა სტრუქტურულ ერთეულში განისაზღვროს ერთი პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სტრუქტურულ ქვედანაყოფში ინფორმაციის პერიოდულ თავმოყრასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მიწოდებაზე;
- ⇒ საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ანგარიშები პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მომზადების შესახებ - საკრებულოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებში ინფორმაციის პერიოდულ შეგროვებასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მიწოდებაზე პასუხისმგებელმა საჯარო მოსამსახურემ, უნდა შეადგინოს პერიოდული ანგარიში ინფორმაციის მიწოდების შესახებ. ანგარიშში უნდა აისახოს, მიწოდებული ინფორმაციის დასახელება და მიწოდების თარიღი. ანგარიში, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სახეობების გათვალისწინებით, რეკომენდებულია დგებოდეს სულ ცოტა 3 თვეში ერთხელ და წარედგინოს საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელს;
- ⇒ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის პერიოდული ანგარიში - ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა, პერიოდულად უნდა შეადგინოს ანგარიში ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ. ანგარიშში უნდა აისახოს, გამოქვეყნებული ინფორმაციის დასახელება, ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღი, გამოქვეყნებული ინფორმაციის მომწოდებელი სტრუქტურული ერთეული და ინფორმაციის მიწოდების თარიღი, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მისთვის მიწოდების მდგომარეობა. ანგარიში ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სახეობების გათვალისწინებით, რეკომენდებულია დგებოდეს სულ ცოტა 3 თვეში ერთხელ და წარედგინოს საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელს;
- ⇒ საერთო ანგარიში ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მდგომარეობის შესახებ - ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებზე პასუხისმგებელი პირის და საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ანგარიშების საფუძველზე, რეკომენდებულია, დგებოდეს საკრებულოს აპარატის ერთიანი ანგარიში ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში უნდა ისახოს სრული ინფორმაცია პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციისა და მისი გამოქვეყნების პერიოდულობის,

აგრეთვე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ. პერიოდული კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია დგებოდეს კვარტალური და წლიური ანგარიშები. ბათუმის საკრებულოში ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მდგომარეობის შესახებ ანგარიში უნდა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებს კანონმდებლობით დადგენილ ზომებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

⇒ სტრუქტურული ქვედანაყოფების, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის ფორმები რეკომენდებულია დამტკიცდეს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომლის მიხედვითაც: 1) განისაზღვრება საკრებულოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ინფორმაციის დამუშავებასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისთვის მიწოდებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეების განსაზღვრის ვალდებულება; 2) დადგინდება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ პერიოდული ანგარიშების შედგენის ვალდებულება; 3) ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ პერიოდული ანგარიშების ფორმას ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

6. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლების სტანდარტის შესრულების უზრუნველყოფა

ბათუმის საკრებულოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განახლების პერიოდულობა და ვალდებულება, რომ ინფორმაციის განახლებისას მიეთითოს მისი განახლების თარიღი. ამასთან, რიგ შემთხვევებში არ არის დადგენილი ინფორმაციის განახლების/განთავსების კონკრეტული ვადები. როგორც შესწავლისას დადგინდა, საკრებულოს ნორმატიულ აქტით დადგენილი სტანდარტის მიუხედავად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ინფორმაციის გამოქვეყნებისას არ ხდება მისი გამოქვეყნების თარიღის მითითება.

დაინტერესებული პირის მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის აქტუალურობის შეფასების, აგრეთვე იმის დასადგენად იცავს თუ არა საკრებულოს აპარატი ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვადებს, აუცილებელია მოხდეს ინფორმაციის განახლების სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა. ამ მიზნით აუცილებელია:

⇒ მოხდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხაში არსებული განსაზღვრული სახის ინფორმაციისათვის, განახლების კონკრეტული ვადების დადგენა (რომლისთვისაც ასეთი ვადა არ არის დადგენილი).

- ⇒ ერთი მხრივ, ვებგვერდზე უზრუნველყოფილი იქნეს, ინფორმაციის განახლების თარიღის მითითების ტექნიკური შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, მოხდეს ინფორმაციის განახლების თარიღის მითითების სტანდარტის დაცვის პერიოდული კონტროლი.
- ⇒ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა ადგენდეს პერიოდულ ანგარიშს (იხილეთ რეკომენდაცია „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მდგომარეობის კონტროლი მექანიზმის შემოღება“), რომელშიც უნდა შევიდეს ინფორმაცია ვებგვერდზე ინფორმაციის განახლების მდგომარეობის შესახებ.

7. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამუშავების სისტემის დახვეწა

საკრებულოს ვებგვერდზე პროაქტიულად ქვეყნდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, შესაბამისად მნიშვნელოვანია მოხდეს მათი დამუშავების სისტემურობის უზრუნველყოფა, რაც ერთი მხრივ, გააუმჯობესებს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამუშავების პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ინფორმაციის საზოგადოებისათვის აღქმადი ფორმით მიწოდებას. ამ მიზნით, რეკომენდებულია, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციისთვის, მათი სახეობის მიხედვით, დადგინდეს დამუშავების ტიპური ფორმები. შემუშავებული ტიპური ფორმებით მოხდება საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან ინფორმაციის მოწოდება.

ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საკრებულოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებთან კოორდინაციით, უნდა შემუშავდეს საჯარო ინფორმაციის დამუშავების/მიწოდების ტიპური ფორმები. ინფორმაციის დამუშავების ტიპური ფორმები შეიძლება დამტკიცდეს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

8. ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების მექანიზმის სისტემატიზაცია

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია სულ ცოტა საკრებულოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას განათავსების გზით (საინფორმაციო დაფაზე განთავსება) საჯაროდ გამოაცხადოს ინფორმაცია. ხოლო სხვა შემთხვევებში, საკრებულოს უფლება აქვს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს პროაქტიულად გამოქვეყნების ან/და საჯაროდ გამოცხადების გზით. კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების, აგრეთვე დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ალტერნატიული საშუალებების არსებობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების ფორმის სისტემატიზაციის უზრუნველყოფა.

ამ მიზნით, აუცილებელია რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხდებოდეს საჯარო გამოცხადების აღრიცხვა. შესაბამისად, ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადებაზე პასუხისმგებელმა საკრებულოს საჯარო მოსამსახურემ უნდა აწარმოოს ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების რეესტრი, რომელშიც შევა შემდეგი ძირითადი ინფორმაცია:

- ⇒ გამოცხადებული/განთავსებული ინფორმაცია;

- ⇒ საჯაროდ გამოცხადების თარიღი და ადგილი;
- ⇒ საჯაროდ გამომცხადებელი საჯარო მოსამსახურე;
- ⇒ ინფორმაციის განთავსების პერიოდი (რა ვადით იყო განთავსებული).

ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფისთვის, აუცილებელია რომ საკრებულოს თავმჯდომარემ გამოსცეს ბრძანება, ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების განხორციელების შესახებ ან/თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელშიც გაიწერება ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების საკითხები.

9. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა და გამოქვეყნება. კვლევისას გამოიკვეთა, რომ ბათუმის საკრებულოს მიერ ამ ვალდებულების შესრულება ხდება, თუმცა წარდგენილი/გამოქვეყნებული ანგარიში არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ინფორმაციის თავისუფლების და ხელმისაწვდომობის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულობის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია საკრებულოს მიერ წარდგენილი ანგარიში იყოს ინფორმატიული და სრულად შეიცავდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს. ამ მიზნით, რეკომენდებულია ანგარიშების სისტემის დახვეწა, კერძოდ:

- ⇒ შემუშავდეს ყოველწლიური ანგარიშის ტიპური ფორმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინფორმაცია. ანგარიშის ფორმა შეიძლება დამტკიცდეს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით;
- ⇒ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელმა პირმა პერიოდულად, 3 თვეში ერთხელ, შეადგინოს შუალედური ანგარიში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. ანგარიშში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შევიდეს მონაცემები საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მოწოდების მდგომარეობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივ/თანამდებობრივ ინსტრუქციაში უნდა შევიდეს ცვლილება, რომლის შესაბამისადაც მას დაევალება 3 თვეში ერთხელ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ შუალედური ანგარიშის მომზადება. სამსახურებრივ/თანამდებობრივი ინსტრუქციის დანართის სახით შეიძლება დამტკიცდეს ანგარიშის ტიპური ფორმა.